აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 5

19 მაისი 2006 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის
შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 72-ე და 73-ე მუხლების თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესი თანდართული ნიმუშის მიხედვით.

2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსმა უზრუნველყოს:
ა) შინაგანაწესის უმაღლეს საარჩევნო კომისიის საჯარო მოსამსახურეთათვის გაცნობა;
ბ) უმაღლესი საარჩევნო კომისიის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის შემოღება და წარმოება;

3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

4. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია

დამტკიცებულია:
აჭარის აჭარის ავტონომიური უმაღლესი
საარჩევნო კომისიის 19/05/2006 №5 დადგენილებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საარჩევნო კომისიის

შ ი ნ ა გ ა ნ ა წ ე ს ი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის წინამდებარე შინაგანაწესი (შემდგომში- შინაგანაწესი) შემუშავებულია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 72-ე და 73-ე მუხლების შესაბამისად.
2. უმაღლესი სააარჩევნო კომისიის შინაგანაწესით განისაზღვრება:
ა) სამუშო დროს დასაწყისი და დასასრული;
ბ) დღის განმავლობაში შესვენების დრო;
გ) დასვენების და სადღესასწაულო დღეებში, აგრეთვე ყოველდღიური სამუშო დროის დამთავრების შემდეგ დაწესებულებაში ყოფნის პირობები და წესი;
დ) სამსახურებრივ საკითხებზე განკარგულებათა საჯარო მოსამსახურეებამდე დაყვანის წესი;
ე) ხელფასის გაცემის დრო და ადგილი;
ვ) შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები;
ზ) სამსახურში არყოფნის შეტყობინების წესი.
3. შინაგანაწესის მიზანია;
ა) უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატისათვის დაკისრებული ფუნქციების სრული განხორციელებისათვის ხელის შეწყობა;
ბ) შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა;
გ) საჯარო მოსამსახურეთა შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დამკვიდრება;
დ) სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება;
ე) საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის დონისა და პროფესიული ჩვევების გამოვლენის ხელშეწყობა;
ვ) სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების ოპერატიულობის ზრდა;

ზ) ხელმძღვანელობასა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა შორის შრომითი ურთიერთობის მოწესრიგება.

მუხლი 2. სამუშაო დროს დასაწყისი და დასასრული, შესვენების დრო

1. საჯარო სამსახურის განხორციელება უმაღლეს საარჩევნო კომისიაში ეფუძნება ქვეყანაში საჯარო სამსახურის ერთიანობის პრინციპს და განსაზღვრულია 5-დღიანი სამუშაო კვირით.
2. სამუშო დრო განისაზღვრება დილის 9^{00} სთ-დან 18^{00} სთ-მდე.
3. სამსახურში გამოცხადებას საჯარო მოსამსახურე ხელმოწერით აფიქსირებს სპეციალურ ჟურნალში გამოცხადების დროის მითითებით.
4. 13.00სთ-დან 14.00სთ-მდე საჯარო მოსამსახურეთა შესვენების უფლება გარანტირებულია.
5. უქმე დღის წინა სამუშაო დღის ხანგრძლივობა მცირდება 1.00სთ-ით.
6. თუ უქმე დღეს წინ უსწრებს ყოველკვირეული დასვენების დღე, სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ მცირდება.

მუხლი 3. დასვენებისა და უქმე დღეებში, აგრეთვე ყოველდღიური სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ დაწესებულებებში ყოფნის პირობები და წესი

1. საჯარო მოსამსახურის მუშაობა უქმე დღეებში, შესვენების დროს ან სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ ნებაყოფლობითია.
2. უქმე დღეებში, შესვენების დროს ან სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ საჯარო მოსამსახურის მუშაობის ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილებას დადგენილი წესის შესაბამისად ღებულობს უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 4. სამსახურებრივ საკითხებზე განკარგულებათა მოსამსახურეებამდე დაყვანის წესი

1. სამსახურებრივ საკითხებზე საჯარო მოსამსახურეებზე განკარგულების გაცემის უფლება აქვს უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. სამსახურებრივ საკითხებზე გაცემული განკარგულება შესაბამისად შეიძლება იყოს ზოგადი (ვრცელდებოდეს უსკოს ყველა მოსამსახურეზე) და ინდივიდუალური.
2. ზოგად განკარგულებას გასცემს უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ზოგადი განკარგულება სრულდება წერილობითი ფორმით და ექვემდებარება უმაღლეს საარჩევნო კომისიაში სპეციალურად გამოყოფილ თვალსაჩინო ადგილას გამოკვრას.

3. ინდივიდუალურ განკარგულებას გამოსცემს უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე. ინდივიდუალური განკარგულება გამოიცემა უშუალოდ ერთ საჯარო მოსამსახურეზე ან საჯარო მოსამსახურეთა განსაზღვრულ ჯგუფზე. ინდივიდუალური განკარგულება სრულდება წერილობით ან ზეპირი ფორმით. წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური განკარგულება გამოცემისთანავე გადაეცემა მოსამსახურეს (მოსამსა-ხურეთა ჯგუფს), რაც დასტურდება ხელისმოწერით.

მუხლი 5. ხელფასის გაცემის დრო

1. მოსამსახურეს უფლება აქვს კანონმდებლობის შესაბამისად, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე, მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს.
2. მოსამსახურეებზე ხელფასი საკრედიტო ბარათის მიხედვით გაიცემა თვეში ერთხელ. ბუღალტერი პასუხისმგებელია კუთვნილ ანგარიშზე ხელფასის თანხის დროულად გადარიცხვაზე.
3. ხელფასის გაცემა ხდება ლარებში.

მუხლი 6. შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები

უმაღლესი საარჩევნო კომისიის მოსამსახურე ვალდებულია განუხრელად ასრულებდეს დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 7. სამსახურში გამოუცხადებლობის არყოფნის შეტყობინების წესი

1. წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოსამსახურე ვალდებულია წინასწარ წარუდგინოს უშუალო უფროსს განცხადება შემდგომ სამსახურში არყოფნის სავარაუდო პერიოდის თაობაზე შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით. უფროსი თანხმობის ნიშნად ხელს აწერს წარდგენილ განცხადებას ან უარს აცხადებს განცხადების ხელმოწერაზე. უფროსის მიერ განცხადების ვიზირების შემთხვევაში მოსამსახურის სამსახურში გამოუცხადებლობის მიზანშეწონილობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მის უშუალო უფროსს.
2. წინასწარ უცნობი მიზეზებით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში საჯარო მოსამსახურე ვალდებულია, შეძლებისდაგვარად, სამსახურში გამოცხადებამდე აცნობოს უშუალო უფროსს გამოუცხადებლობის

მიზეზები და სავარაუდო პერიოდი. სამსახურში გამოცხადების შემდეგ საჯარო მოსამასახურემ უშუალო უფროსს უნდა წარუდგინოს ახსნა-განმარტებითი ბარათი სამსახურში გამოუცხადებლობის თაობაზე.
3. საჯარო მოსამსახურის პასუხისმგებლობა სამსახურში გამოუცხადებლობის თაობაზე გათვალისწინებულია "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. შინაგანაწესი სავალდებულოა შესასრულებლად უმაღლესი საარჩევნო კომისიის ყველა საჯარო მოსამსახურისათვის.
2. შინაგანაწესი გამოიკვრება უმაღლეს საარჩევნო კომისიაში სპეციალურად გამოყოფილ თვალსაჩინო ადგილას.
3. შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში საჯარო მოსამსახურეს ეკისრება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა.
4. მოსამსახურე ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. ხელწერილი შინაგანაწესის გაცნობის თაობაზე თან ერთვის მოსამსახურის პირად საქმეს.